

შპს „ბავშვთა ჯანმრთელობის ცენტრის“ ლაბორატორიული  
რეაქტივების და სამედიცინო მასალების შესყიდვის სატენდერო  
კომისიის სხდომის  
ოქმი N1

ქ. თელავი

მაისი 2022წ.

სატენდერო კომისიის და აპარატის წევრები:

1. თამილა თეიმურაზიშვილი - დირექტორი,  
სატენდერო კომისიის თავმჯდომარე;
2. კახაბერ მოურავიძე - დირექტორის მოადგილე,  
სატენდერო კომისიის წევრი;
3. რუსუდან ჯაყელი - ეკონომისტი, კომისიის წევრი
4. თამარ შარაშენიძე - ფარმაცევტი, სატენდერო კომისიის წევრი
5. ლევან ბასილაური - შესყიდვების სპეციალისტი, აპარატის წევრი

დღის წესრიგი: შპს „ბავშვთა ჯანმრთელობის ცენტრისთვის“  
ლაბორატორიული რეაქტივების და სამედიცინო სახარჯი  
მასალების შესყიდვის სატენდერო დოკუმენტაციის და  
სატენდერო განცხადების დამტკიცება და ელექტრონული  
ტენდერის გამოცხადება. დაფინანსების წყარო - 2022 წლის  
საკუთარი შემოსავლები.

განიხილეს: შპს „ბავშვთა ჯანმრთელობის ცენტრისთვის“ 10 დასახელების  
საქონელი (დანართი N1) შესყიდვის განხორციელებისათვის  
მომზადებულია სატენდერო დოკუმენტაცია და სატენდერო  
განცხადება მოთხოვნის შესაბამისად.  
აღნიშნული საქონლის შესყიდვაზე ჩატარებული იქნა ბაზრის  
კვლევა, რისთვისაც მიმართვები დაეგზავნა ელ-ფოსტაზე 11  
კომპანიას. ფასები წარმოადგინა მხოლოდ ერთმა - 2273 ლარი  
დღგ-ს გარეშე. ბაზრის კვლევის საფუძველზე განისაზღვრა  
შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება 2273 ლარით.  
მიწოდების ვადა ხელშეკრულების დადებიდან არაუმეტეს 10  
დღე. მიწოდების ადგილი ქ. თელავი, ალადაშვილის N2. ფასის  
კლების ბიჯი 40 ლარი.




დაადგინეს: 1. დამტკიცებული იქნეს ლაბორატორიული რეაქტივების  
და სამედიცინო სახარჯი მასალების შესყიდვისათვის  
მომზადებული სატენდერო დოკუმენტაცია თანდართული



სახით.

შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება განისაზღვრის  
2273 ლარით. მიწოდების ვადა 10 (ათი)  
კალენდარული დღე. ფასის კლების ბიჯი 40 ლარი.

2. გამოცხადდეს ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე  
წარმოდგენილი სატენდერო დოკუმენტაციით წინამდებარე  
ოქმის ხელმოწერისთანავე.

1. კომისიის თავმჯდომარე:  თ. თეიმურაზიშვილი
2. თავმჯდომარის მოადგილე: კ. მოურავიძე
3. კომისიის წევრი:  რ. ჯაყელი
4. კომისიის წევრი:  თ. შარაშენიძე
5. აპარატის წევრი: ლ. ბასილაური

